F 75
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი მკითხველ-ოვანთათვის

1914 ოქტომბერი. № 20

ეკალმყინვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I —ავადმყოფი,—სურ. 1

II—„ნაკადულის“ მკითხველები. 3

III—შემოდგომის სიმღერა,—ლექსი გ. ლეონიძისა . . 4

IV—პაპაჩემი ნონადირე,—(შემდეგი) ვ. თამრიშვილისა . 6

V—ბაყაყის ცხოვრება,—(თარგმანი) დ. ელიოზიშვილისა . 12

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბაკადულის"

მკითხველები

F 240

1) შალიკო ახმეტელაშვილი,—თბილისი. 2, 3 და 4) მიშა, შოთა და კოტე ქარუმიძეები,—ქ. გროზნი. 5) შალვა ხუნგია, – ბათომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

კნება ია ველისა,
ობლად გამომზირალი,
და მთა-ბარს ეფინება
მისი ხმები მტირალი...
ტუე ხუჭუჭა შრიალებს,
ფოთოლ-გაუვითლებული,—
სადღაც მიეშურება
ფრინველების კრებული!..
ზეცა მოღრუბლულია,
ფიქრით განამწარები...
—ეჰ, სად არის ნეტავი
გაზაფხულის დარები.
როცა ვარდნი ჰყვავიან,
წითელ-გულ-მკერდიანნი,
და კორდზე გაშლილიყვნენ
მოლურჯონი იანი...
როცა ველნი ლამაზნი,
ზურმუხტობენ, ლალობენ,
და რიჟრაჟის მგოსნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკრიალა ხმით გალობენ...
ახლა-კი... ქარიშხალი
მთა-და-ბარად ეიალებს,
და ძალე შემოდგომა
უველას გაატიალებს.
გადაჭკნება წალკოტი,
გადახმება ვარდნარი,
და კარს დაგვიკაკუნებს
თოვლიანი ზამთარი!..

გ. ლეონიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპაჩემი—მოზაღირე.

(შემდეგი).



ბობის უქმეები ახლოვდებოდა და ჩურ-ჩული გაიმართა მე და ანოს შორის, წავალთ თუ არა ჭანდრიანში.

ბაბიჩემისგან ერთი თვეც არის არა ისმოდა-რა.

მოუსვენრად ვიუავით, სულ დღეებსა ვთვლიდით.

სასწავლებლიდან უკვე დაგვითხოვეს. მე მასწავლებელს მოწმობაში ისიც-კი ჩავაწერინე, ჭანდრიანში მივდივარ მეთქი; მაგრამ ლამის იმედი მიცრუვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანო ერთმა ამხანაგმა შობის ხეზე დაჭვატიეა. ეს ჩვენ-ანო, იმის მოგონებაზე, რომ სოფელში ველარ წავიდოდა, ისე გაცვცხლდა, ჯავრით თავისი ბურთი გარედ გადისროლა.

ერთი სიტყვით, რაღა სიტყვა გავაგრძელო, ის რამდენიმე დღე ას წელიწადად გვეჩვენა.

შობამდის ორი დღე იყო დარჩენილი. ორივემ წასვლის იმედი გადავიწვიტეთ. ახლა ბიძაჩემს იმას ვეხვეწებოდით — შობის ხე გაგვიმართეო.

სადილს უკან ის იყო ბინდდებოდა. მამას ეძინა. ბიძაჩემი შინ არ იყო. ისა და დედაჩემი საშობაო საყიდლებისთვის წავიდნენ. მე და ანო ფანჯარაში ვიცქირებოდით. ჩვენსკენ ერთმა კაცმა შემოუხვია, ეაბალახში და ნაბადში შეხვეულმა. უცხოდ გვეჩვენა და გაგვიკვირდა. ზარიც არ დაურეკია. თან დიდი ხურჯინი ძლივს მოჰქონდა. უცებ დერეფნიდან ბაბიჩემის ხმა მოგვესმა:

— აი, თქვე უსირცხვილოებო, ვერ მოეშველებით ბაბას — ხურჯინი ჩამოართვათ.

არცა-კი დავაცალეთ სიტყვების დათავება, მივცვივდით და მოვეხვივენით ბაბას. ჩვენ ხმაურობაზე მამა გამოვიდა. ხურჯინი იმან შეათრია ოთახში.

ბაბაჩემი სიცივისაგან შეწითლებულიყო. დიდი ულვაშები ეინვისაგან ჯოხებსა ჰგვანდა, სახე მოჰღუშოდა და შუბლი შეეჭმუხვნა.

— რა არის, ბაბილო, რათა ხანია გელოდებით; რატომ წერილი არ მოგვწერე. რატომ ადრე არ ჩამოხვედი?!. — ზედიზედ მიაყარა კითხვები ანომ და თან მუხლებზე შეუჯდა.

— დაიცა, შვილო, სეტყვასავით ნუ დამაყარე კითხვები. ან ერთი მკითხე, ან მეორე. ნუ ხარ სულსწრაფი...

— ოჰ, ერთი თვე გიცდიდით და! — ბუზღუნებდა ანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა გიეოთ თქვენ შემხედავმა,—ხელი ჩაიქნია ბაბ. ბაბ.—სულ სამი თვეა, რაც წამოხვედით. ამ სამ თვეში—ერთი თვე ჩემს ლოდინში გაგიტარებიათ; ერთი თვე იზარმაცეთ.

— ერთი „ორიანიც“ არა გვაქვს მოწმობაში, ბაბილო; გინდა გაჩვენოთ!

— ჩვენ ხე ბეჯითი არვინ ეოფილა, ბაბავ,—კვერი დაუკარი მეც ანოს.

— ახლა ამ დროულ კაცს წერილების წერასა მთხოვთ?! მერე რატომ თქვენ არ მომწერეთ: იქნებ ბასუხი მომეხერხებინა,—ჩიოდა ბაბაჩემი.

— მე დილაზევე დავბრუნდები, და ამ ეშმაკებს თან წავიყვან, ჭანდრიანში. ორი კვირის შემდეგ ისევ ჩამოგიყვანთ და მაშინ დავრჩები აქ ერთ-ორ კვირას. ახლა-კი, სწორე გითხრა, არ შეიძლია!—ხმა-მაღლა უარს ამბობდა ბაბაჩემი მამას თხოვნაზე, რომ დარჩენილიეო.

ქალაქში ბაბაჩემი ისევ ისე მაღალი ხმით ლაბარაკობდა, როგორც სოფელში, და როცა ერთხელ შევნიშნეთ, ასე გვითხრა:—ჩურჩულით ლაბარაკი ქურდების საქმეა, სხვა არაფისიო.

მეორე დღეს დილით ადრე სადგურისკენ გავწიეთ. დიდი ვაი-ვაგლახით ბილეთები ავიღეთ მატარებელზე. ბიძაჩემმა გამოგვაცილა და ჩავსხედით მატარებელში. ბაბამ ბიძიას სთხოვა: ერთი გაზეთი მიეიდეო. ბიძიას კიდევ აეღო და რატორვა—ცხრა გაზეთი არ ეეიდნა.

დაიტვირთა ბაბაჩემი გაზეთებით. გზაში ერთიც არ წაუკითხავს, რადგან სათვალე სოფელში დარჩენოდა.

მატარებელში ბაბამ თითქმის ჩვენთან მჯდომნი ყველანი გაიცნო და ყველას თითქმის ერთსა და იმავეს ებაასებოდა:

— წელს რაკი დიდი თოვლიანობაა, ალბად მოსავალი კარგი იქნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრები იცვლებოდნენ: ზოგი გადადიოდა, ზოგიც ეშვებოდა.

ჩვენ სადგურზე ჯერ შორს ვიუავით, როცა ბაბამ აგვაჩქარა:

— აბა, არაფერი დაგრჩეთ, მოემზადენით, უნდა გადავიდეთო.

— თქვენი ბალღები არიან ესენი?!. —ჰკითხა ერთმა მოხუცმა ბაბას.

— არა, ჩემი შვილიშვილები არიან. საშობაოდ სოფელში მიმუავს. დედ-მამა-კი ქალაქში ჰუავთ. ამ ორ კვირაზე უქმეებში კარგ დროებას გავატარებინებ და მერე ისევ სასწავლებლად დავაბრუნებ. ქალაქში სწავლობენ ორივენი. კარგები არიან ორივენი, ჩემი გამხარებლები...—გააგრძელა ბასუხი ბაბამ. ჩვენი ქება-კი, სწორე გითხრათ, ძალიან გაგვიკვირდა.

სადგურის მოახლოვება და ბაბიჩემის ლაბარაკის შეწყვეტა ერთი იუო. სურჯინს ხელი მოავლო და გასავალთან დადგა.

სადგურზე ჩვენებურები ბევრნი დაგვხვდნენ. ჩვენი მარხილიც იქვე იუო. ქარი ჩამდგარიუო, მაგრამ ძალზე ჰუინავდა. მთელ არე-მარეზე თოვლი თეთრად გადაბენტილიუო. ხეები გზის ბირად თეთრ, მაზარა—წამოსხმულ გუშაგებსა *) ჰგვანდნენ. ალაგ-ალაგ ქარს თოვლი ერთად მიებერტუა და ბატარა გორა გაეკეთებინა.

გზა გასიბულიუო და მდინარესავით შორს მიიკლაკნებოდა.

ბაბაჩემმა ჩვენი თბილი საცმელები არ გვაკმარა და მე და ანო თავის ნაბადში შეგვახვია; ისე შეგვბუბნა, რომ ვერაფერსა ვხედავდით: ნაბადი თავებსა გვმალავდა.

— ბაბილო, აქ არ დავიხრჩოთ, თვალებს გამოვაჩენთ, გზაზე რამე დავინახოთ! —შეეხვეწა ანო.

*) გუშაგი—დარაჯი, მცველი.

ბაბამ ნაბადს ცოტა დასწია და თვალებმა ქვეყნიერება ისილეს.

მარხილში ჩვენი მერანა და ალ-ქაჯა (ცხენების სახელები) ებნენ. იხე გაგვაქროლეს, ისეთი თოვლის კორიანტელი ააყენეს, რომ ძლივსა ვხედავდით.

სულ ერთი საათი არ გასულა, რომ ზევით მთაზე ჩვენი ჯანდრიანი გამოჩნდა.

თქვენ არ ვიცი, რასა გრძნობთ და, როცა უახლოვდები ჯანდრიანს, იმ ჯანდრიანს, საცა დავიბადე და გავიზარდე, გული აჩქროლდება, უფრო ხშირად გააქვს ბაგი-ბუგი და ძარღვებში ისეთი სასიამოვნო სითბო დამიგლის, რომ მომინდება, ძალიან მომინდება ხელები გავშალო და მთელ ჯანდრიანს, სულ მთელ სოფელს მოვეხვიო და გულში ჩავიკრა, აგერ ის დიდი ქვა, გზის ბირად რომ გდია, ნაცნობია ის ქვა, ნაცნობი და საყვარელი. თოვლით შემოსილი გამოიყურება მუდამ უთქმელი, თითქოს ქვეყნის ჯავრი გულში ძაფივით გორგალზე დაუხვევიაო და უცდის დროსა და ჟამსა!

აი კიდევ — გზის ბირს, სოფელში შესვლისას, ჩვენი სახლის გადმოსწვრივ მდგომი ბებერი კუზიანი ბანტა. საწყალს და საცოლავს თოვლის ტანსაცმელი ღარიბ კაცივით აქა-იქ რომ შერჩენია; ასე ნუ უყურებთ: ზაფხულის მიწურულებში მაგის ქვეშ ჩაშაქრებული ბანტა გვიძებნია. ან და ჩვენი ეზოს ნაბირს ძველი საბძელი ეაგარჯნიან მოხუცივით რომ გამოიყურება. მე და ანოს ამ საბძლისა გეშინია. მშიშარა როდი ვარ! ისე მეშინია. ამბობენ, ჭიაკოკონობა ღამეს კუდიანები ამ საბძელთან შეიკრიბებიან და თათბირს გამართავენ იალბუზის მთაზე წასასვლელათაო. ბაბა იქ თავისუფლად დადის. კუდიანები მხოლოდ მტირალებს ერჩიანო. ანო ხომ ტირილს ახლაც ხშირად ინებებს ხოლმე; მე-კი წინად, როცა ბატარა ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეავი, კოშკზე მტრედის ბუდის ჩამოშლა მოვინდომე, ხიდან ჩამოვარდი და ვიტირე. ეს იყო და ეს. მას აქეთ მტირალას სახელი დამერქვა და ამიტომ იმ საბძელსაც ვერიდები. მაინც მიეკარს ის საბძელი, ჩვენი სოფლის ნაწილია, ჩვენი თეთრსაცმელიან ჭანდრიანისა!

ჩვენი მისვლა შორიდანვე გაიგეს. წინ ბაბას ბიძაშვილი კიკო გამოგვეგება.

— ქალაქელებს ვახლავართ ჩვენ სოფლელები ათი შეკაზმული ცხენით და ცარიელი გოდრით!

სიცივემ ბევრი არ გვალაპარაკა და გაგუზგუზებულ ბუხარს მივესალმენით.

ვ. თამროშვილი.

(დასასრული იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყაყის ცხოვრება.

(თარგმანი).

ეს ბაყაყი გახლავართ—ჩვეულებრივი ბაყაყი. დავიბადე ერთ საუკეთესო ჭაობში. ჩემ სიცოცხლეში იმისთანა მშვენიერი აღარაფერი მინახავს! მისი წყალი წმინდა იყო, ცივი; ნაპირები—ლერწმებითა და მაღალ ძურწა ბალახებით მწვანედ დაფენილი. მის ზედა ჰირზე დასცურავდნენ თეთრი, სურნელოვანი ფოთლები; მაღლიდან-კი მთელ დღეს განუწყვეტლივ ისმოდა მერცხლის საამური ჭიკჭიკი.

აი, ასეთ ჭაობში ვიხილე ჰირველად დღის სინათლე. მშობლები ჩემს დღეში არ მინახავს, არ ვიცნობ. როგორც შემდეგ გავიგე, ისინი თურმე სრულიად არა ზრუნავენ შვილებისათვის, არა მიმაობენ მათ. ასეთი ეოფილა ბედი ბაყაყისა. დედა-ჩემმა ხავსებს შუა გაბა გრძელი, ერთობ გრძელი ძაფი ქვირითებისა და იმავ წუთში მამა-ჩემთან ერთად სადღაც გასცურდა; ჩვენ-კი მზის ანაბარად დაგვტოვა. ან კი რა გასამტუნარია; მისთვის ხომ ერთობ მნელი იქნებოდა იმდენი შვილების აღზრდა: ათასზე მეტი ვიქნებოდით!

თავდა-ჰირველად ეველანი ერთად ვიყავით წყლის ზედა-

ჰირზე; უველა ჩვენგანი ჰაწაწა, შავ მძიგს წააგავდა. დიდხანს ვიყავით ამ ყოფაში, თუ არა, რა მოგახსენოთ, მხოლოდ, როგორც სხვებზე ვხედავ, ალბად რამდენიმე კვირას. მახსოვს მხოლოდ, რომ, როდესაც ჰირველად გავიღვიძე, ისეთი მშიერი ვიყავი, ისეთი, რომ იმ წამსვე ვეძგერე ჩემ-ხე გარშემორტყმულ ქვირითის სითხეს და ხარბად დაუწყე ჯამა. როდესაც გავძეხი, შევეცადე განთავისუფლებულვიყავ ჩემ საჰყრობილედან. ხან ერთ კუთხეს მივიხეთქე, ხან მეორეს, მაგრამ ამაოდ; ძალა ჯერ ერთობ სუსტი მქონდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევძელ ჩემი გამჯვირვალე გალიის კედლების გარღვევა და გარეთ თავისუფლად გამოსვლა.

ოჰ, რა გამახარა მაშინ თავისუფლებამ!..

ჩემ წინ ჰირველად გადაიშალა მთელი ქვეყანა. დაუსრულებელი წყალი, შერეული, მტრედის ფერი ცა, ლერწმების ტეე.—უველა ეს ისე მშვენიერად მეჩვენა, მოძსიბვლელად, რომ, გატაცებულმა, სრულიად დავივიწყე სიმშილი, აღტაცებულ—შეშლილსავით დიდხანს დავსცურავდი წყლის ნაპირად და ცნობის-მოუვარეობით თვალს ვავლებდი ჩემთვის სრულიად ახალ, უცნობ არე-მარეს.

მე მარტოკა არ ვიყავი. ჩემს გვერდით ფუსფუსებდნენ ღვიძლი დები;—ერთობ სასაცილონი იყვნენ, შავი არსებანი, დიდის თავებით, გრძელის კუდებით და... უფეხონი. ნამდვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზებს მოგაგონებდნენ! ვფიქრობ, რომ მეც ისეთი უნდა ვეოფილიყავ ჰირველად.

დალახვრა ღმერთმა! თავისდღეში ასრად არ მომივიდოდა, რომ ჩვენგან ნამდვილი ბაეაეები აღიზრდებოდნენ! მთელ დღეს დავსცურავდით. სხვებისა რა მოგახსენოთ, და მე-კი... ერთი კუთხეც არ დამრჩენია ჩვენი ჯაობისა, რომ არ გამესეირნოს.

ერთხელ, ჩემი ცნობის-მოყვარეობის გამო, კინაღამ სიფათი შემემთხვა. საქმე ასე გახლდათ. შევსცურდი ერთობ თხელ ალაგას. არ ვიცი—გზა დავკარგე, ავირიე, თუ წყალმა დაიწყო კლება, რამდენი არ ვეცადე, რამდენი არ ვეწვალე, მაგრამ, არ იქნა და არა, უკან ვეღარაფერი გზით ვერ გამოვბრუნდი! საითაც მივტრიალდი—წყალი ეგელგან თხელი აღმოჩნდა.—ვერ მოუცურდი.

ვზივარ, როგორც ორმოში! ზევიდან-კი მზის სიცხოვლე მაჭერს; თან-და-თან უმატებს და უმატებს სიცხეს. ეს-ეს არის, მთელი ორმო უნდა სრულიად ამოშრეს. გავიფიქრე, ახლა-კი მომიახლოვდა სიკვდილის წუოები-მეთქი. მაგრამ, სიბედნიერად, უცებ ძლიერმა, შხაპუნა წვიმამ დაუშკა და ორმო კვლავ წყლით ამოავსო. სიკვდილს გადავრჩი...

*
* *

დრო მსწრაფლ გადიოდა და ჩვენც მასთან ერთად ჩქარა ვიზრდებოდით. ან-კი როგორ არ უნდა გავზრდილიყავით, როდესაც მთელი დღის განმავლობაში მხიარულებისა, თამაშობისა და დამპალ ბალახ-ფესვებით ჰირის ჩატკბანურების მეტს არაფერს ვაკეთებდით. თავები დაგვისივდა, მუცლები ჰატარა ტიკებსავით დაგვებერა და ეგელამ სასაცილო შესახედაობა მივიღეთ: უშველებელი თავი გრძელის კუდით...

მე თვითონ მეცინება ამის მოგონებაზე! ჩვენდა საბუსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ, როდესაც წამოვიზარდენით, ხსენებულ ჭაობში საიდან-ღაც გაჩნდნენ რაღაც საშიშარი არსებანი და მუსრი გაგვავ-ლეს: მთელი ხროვებითა გვჭამდნენ. რამდენი მხიარული დობი-ლი გამომაცალეს ხელიდან იმ გაუმაძღარმა იხვებმა, თევზებმა და წულის მწერებმა! მე-კი ბედმა გამიღიმა და უვნებელი გა-დავრჩი.

ასე და ამ რიგად, დავსცურავდი რა მხიარულად ჩვენ მშვე-ნიერ ჭაობში, ვერცა-კი შევამჩნიე, თუ როგორ დავიწყე თან-და-თან სახის გამოცვლა, გასჩვანაირება. უკან, კუდთან რა-ღაცა მეჭეჭებმა იჩინეს თავი. იწყეს ზრდა და თან-და-თან ბა-წაწა გაბანდულ ფეხებად გადაიქცნენ. შემდეგ ასეთივე ფეხები წინაც გამოესხა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვე-მსგავსებოდი ნამდვილ ბაყაყს.



ოჰ, ეს საზიზღარი კუდი რომ არა მქონოდა!.. მზად ვი-ყავ მომეგლიჯა... დიდი სურვილი მქონდა, როგორმე ნაპირ-ზე გამოვსულიყავ და მესტუნა დედამიწაზე, მაგრამ დიდხანს ვერა ვბედავდი.

ერთხელ, დავინახე თუ არა, რომ ჩემი ტოლები თავი-სუფლად დასტოდნენ ჭაობის ნაპირებზე, მეც მოვიკრიბე გუ-ლადობა და რაღაც სასწაულის ძალით ნაპირზე გამოვედი. ჩემ გრძელ კუდს თან მოვათრევდი და ამიტომ რის ვაი-ვაგ-ლახით მოვაღწიე ქვიშიან მაღლობს; მოვიკალათე იქ და ვტკბებოდი ჩემ თვალ-წინ გადაშლილ სანახაობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ახლა გავიგე, თუ რა სასიამოვნოა ჯდომა და-მიწაზე და ენოსვა გაზაფხულის ჰაერი'ა! მას შემდეგ ხშირად ვტოვებდი წყალს და თან-და-თან უფრო შორსა და შორს ვსცილდებოდი ჭაობის ნაპირებს.

დრო გადიოდა; მეც ვიზრდებოდი. კუდი თან-და-თან მიმოკლდებოდა; ბოლოს სულ გაჭრა. ამაში დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ წელიდან მშრალზე ამოვსტი. მაშინ თავი ვიგრძენ ნამდვილ ბაყაყად; აღარ ვიყავი საზიზღარი „თავ-კომბალა", როგორც აქამდე მიწოდებდნენ ხოლმე.

*
* *

ამ დროიდან ჩემთვის დაიწყო ახალი ცხოვრება; მართალია, დროს წინანდებურად ვატარებდი,—ხან წყალში, ხან დედამიწაზე,—მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ნაპირზე ყოფნა და სტუნაობა ველზე უფრო მიყვარდა, ვიდრე წყალში ლბობა იმ დიდ, მწვანე ბაყაყივით, რომელიც ჩვენ მშვენიერ კუთხეში ბრძანდება.

საჭმლის შოვნაც-კი ნაპირზე უფრო მიადვილებოდა. ხშირად, როდესაც მომშივდებოდა და წყალში-კი ვერც ერთ ლოკოკინას, ვერც ერთ ბაწაწინა თევზს ვერ წავაწყდებოდი, ავსტებოდი იმ წამს ნაპირზე და გაფაციცებით ვაცქერდებოდი სხვა-და-სხვა ეკვაილებს...

როგორც-კი შევამჩნევდი მათზე ბუზს, ან სხვა მწერს, ჩუმად მივეპარებოდი, უცებ გავაღებდი პირს, გამოვეოფდი გრძელ, ბოლოში ორად გაყოფილ ენას და—ელაპ!.. ბუზი პირში მეავდა. ამგვარად ბევრი გავაწყვე ბუზები, ხოჭოები და სხვა წვრილი მწერები.

წამოვიზარდე და გულადობაც მომემატა. ახლა სრულიად უშიშრად გავეშვებოდი ხოლმე ჭაობის შუაგულისაკენ, დიდხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავსცურავდი იქ, ხოლო, როდესაც მომბეზრდებოდა, გამოვდ-
ოდი ნაპირზე და გავცილდებოდი შორს, რაც შეიძლება
შორს ჯაობიდან; თითქმის სოფელს მივაღწევდი ხოლმე.

ამგვარად ერთ დღეს გავსწიე ასე შორს. მშვენიერი დღე
იდგა. მოწმენდილ ცაზე მსუბუქად დასცურავდნენ ერთი მეორის
მიუოლებით ქულა ღრუბლები. ნიავი ოდნად არხევდა ბალახს
და საიდანღაც ახალი თივის საამური სურნელება მოჰქონდა.
მე მივხტოდი შორს, შორს; არ მიმიქცევია ყურადღება,
რომ ჩემს გერშემო ბალახი თურმე თან-და-თან თხელდება
და დაბლდება. არ ვიცი, ღმერთმანი, რამდენ ხანს გაგრძელ
და ეს ხტუნაობა, მაგრამ, შემთხვევით, მივიხედე რა გვე-
რდზე, შიშისაგან გავშრი. თავზე რაღაცა მაღალ-ფეხებიანი,
უშველებელი ფრინველი დამჩერებოდა. თავი დაბლა დაეხარა,

F49



წინ წამოეწია წითელი, გრძელი ნისკარტი და ჩამომცქეროდა...
ვერ წარმოიდგენ, თუ რა შიშის ეჯდა მეცა!.. უცებ გა-
მახსენდა გაგონილი ამბავი ბაყაყი-ულაჭიას შესახებ, ბაყაყ-
თა მოდგომის იმ საშინელ მტერზე, რომლისაგანაც იმდენი და-
ძმანი დაძეღუჭნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც იმედი დავკარგე... ვიფიქრე: ახლა-კი დადგა ჩემი ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წამები. შიშისაგან თვალებიც-კი დავხუჭე; არ მსურდა დამენახა ის საშინელება...

ამ დროს ვიგრძენი, თუ როგორ ამომდო ბაეაეი-ულაჰიამ ქვეშიდან თავისი საშინელი ნისკარტი, როგორ ამწია მაღლა ჰაერში და... შემისროლა მაღლა. მისგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე დავეზღვერთე მიწაზე. არ ვიცი— შიშისაგან, თუ ძირს დაცემისაგან, ძალიან დავშავდი, დედამიწაზე მკვდარსავით ვეგდე გაშოთილი, უძრავი...

სწორედ ამ გარემოებამ მისნა დაღუპვისაგან: თურმე ბაეაეი-ულაჰია მკვდარ ბაეაეებს როდი სჭამს. ძირს დაცემის შემდეგ მან ერთ გვერდზე შემომხედა,—მე არ ვინძრეოდი;— შემომხედა მეორედ, მესამედ, მეოთხედ, თითქოს სურდა გაეგო დანამდვილებით—თავს ხომ არ ვიკატუნებ. ბაგრამ დაინახა რა, რომ მე ერთ და იმავე მდგომარეობაში ვიმეოფები, არ ვინძრევი, დარწმუნდა ალბად, რომ ნამდვილად მკვდარი ვიეავი, სიბრაზისაგან ერთი დაიურანტალა და უჩეშის მოძრაობითა და ეოეოჩაობით გაუდგა გზას. მე-კი არც მაცია, არც მაცხელა, წამოვარდი უცებ ზეზე და მოვკურცხლე რაც ძალი და ღონე მქონდა.

*
* *

ბაეაეი-ულაჰიასთან განცდილი უბედურება ჩქარა დამავიწყდა. მხიარულად და სასიამოვნოდ მიმდინარეობდა ჩემი ცხოვრება. დღისით, სიცხის დროს, წელის მახლობლად სადმე ბელტის ქვეშ, ან და მინდორში, რომელსამე ეორღანზე ვთვლემდი...

როცა-კი საღამო დადგებოდა, ეველა მეგობარ-მოკეთენი მხიარულ თამაშობას დავიწყებდით. აბა, მაშინ უნდა გენახათ,

თუ რა სიცოცხლე დაეტეობოდა ჩვენ ჭაობს! დავჭეუბერავდი-
დით წყალში, ეირაზე გადავდიოდით, ერთი მეორეს ვუდგებო-
დით და ამასთანავე ისე ხმა-მაღლა ვეიეინობდით, რომ ჩვენი
ხმის გამოძახილი შორეულ ტეიდანაცა-კი გამოისმოდა.

ოჰ, რა ძალიან მიეეარდა ის წამები, როდესაც მომღე-
რალთა გუნდს ვადგენდით.

რა მომხიბვლელი სურათი იეო. წენარი, თბილი, მშვე-
ნიერი საღამო; ცაზე ვერცხლის ფეხი მთვარე დასცურავს;
ვარსკვლავები ციმციმებენ; ამ დროს უცებ გაისმის შორიდან:

— ეი, ეი, ეი!...

— ეი, ეი, ეი! — უპასუხებენ სხვები მეორე ნაპირიდან.

— ეი! ეი! ეი! — წამოვიძახებდით ჩვენც ერთად ეოველი
მხრიდან, თითქოს ვინმემ სასტიკი ბრძანება გასცა ამისიო...

შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

როდესაც საკმაოდ ვიმღერებდით და ვითამაშებდით, შემ-
დეგ, ჩვეულებრივად, სანადიროდ გავემგზავრებოდით ხოლმე.
ზოგი ველზე მიდიოდა, ზოგი ნაპირს არ სცილდე-
ბოდა. ბევრ სხვა-და-სხვა ადგილებში ვეოფილვარ, მაგრამ-
ეველაზე ძალიან ბოსტნებში მოგზაურობა მიეეარდა, რო-
მელნიც გრძელ რიგებათ გადაჭიმულიეენენ სოფელსა და მდი-
ნარის ნაპირთა შუა. ოჰ, რა ნადიმი გვქონდა ხოლმე იქ,
რა ნადიმი! — კი არ იფიქროთ, რომ ბოსტანს რამეს ვაკნებ-
დით, ვაფუჭებდით და ვგლეჯდით ბოსტნეულს. ოჰ, არა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ჩვენთვის მზად იყო სულ სხვა სანოვაგე: ხოჭოები, მატლები, ლოკოკინები და სხვა... ყველა ესენი ან უნმრეველად ისხდნენ ერთ ალაგას, ან ნელ-ნელა, ჩუმად დაცოცავდნენ ბოსტნეულობის ფოთლებზე... ენის გამოყოფა გცოდნოდა, და დაჭერით რამდენსაც გინდა—დაიჭერდი!.. ისე გამოვძღებოდით ხოლმე, რომ მუცლები შემოგვებერებოდა... დასანანი მხოლოდ ის გვქონდა, რომ უბედურ დღისათვის არაფრის შენახვა არ შეგვეძლო.

*
* *

ერთხელ, ამ მოგზაურობის დროს, ერთ ბებერ გომფაშოს შევხვდი. უგვანო იყო, ერთობ უგვანო: ხორკლებიანი, მოუხეშავი, ტლანქი. მაგრამ ნებას ვაძლევ ჩემს თავს დაგარწმუნოთ, რომ, ამისდა მიუხედავად, ის ერთობ საპატიო ჰიროვნება გახლდათ.

აი, რა მიამბო იმან თავის თავზე:

— დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ. ამ ალაგას შემთხვევით გადმოვისვენე. ვფიქრობდი, ვისეირნებ ცოტას ახალ ადგილას და შემდეგ ისევ სახლისაკენ გაუდგები-მეთქი. მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოვასწარ. აქ იმდენი ჰირის ჩასატკბანურებელი — მატლები, ბუზები, ხოჭოები აღმოჩნდა,—რომ ჰირველ ხანად სიხარულისაგან ყველაფერი დავივიწყე ქვეყანაზე. ჩემ საქმეს მხოლოდ ის შეადგენდა, რომ მთელ ღამეს, გათენებამდე ვიჭერდი ამათ და ვჭამდი. დღე-კი, სიცხე-ჰაჰანაქების დროს, ვისვენებდი. ვერცა-კი შევამჩნიე, თუ როგორ გავიდა გაზაფხული და მას ზაფხულიც თან გაჰყვა. ჩემი საამბობლო მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომაზე მომაგონდა, როდესაც სიცივეები უკვე დაწყებ-ბილიეო. სადღა უნდა წაყსულიეავი მაშინ. გარდა ამისა ამ ასალ ალაგასაც შეეჩვიე. ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწეეტე სამუდამოდ აქ დარჩენა.

მას შემდეგ ამ ბოსტნებში ვსცხოვრობ და ვმუშაობ მათ საკეთილ-დღეოდ, ჩემი ძალ-ღონის დაგვარად. აქ ბლომადაა ეოველგვარი მატლები და მწერები. იმათ რომ არ ვეალაჰავ-დე, მგონი აქამდე მთელ ბოსტანს ამოაგდებდნენ... მხოლოდ ისაა უბედურება,—დაუმატა დაღონებულმა გომფაშომ,—რომ ადამიანებმა ვერ გვიცნეს, ვერ გაგვიტანეს. იმათ ჭვონიათ—მათთვის რაიმე ვნება მოგვაქვს. ჯადოქარს მეძახიან; ვერც სადმე გაექცევი, ვერც დაემალები;—აიღებენ და მოგკლავენ. ის-კი არ ესმით იმ უმადურებს, რომ გომფაშო არა ეოფილიეო, მათი ბოსტნები მატლების წეალობით მთლად დაიღუჰებოდა.

ეჰ, ცოტასაც მოვიცდი, დავხედავ საქმეს და შემდეგ წავალ სადმე ამ კუთხიდან, წავალ შორს, საზღვარ გარედ, გერმანელებთან ან ფრანგებთან...

იქ არამც თუ არ შეურაცხჰყოფენ ჩვენ მომმეთ, არამედ ზოგი ფულსაც-კი სარჯავს, რომ როგორმე გომფაშო იშოვნოს და თავის ბოსტანში გაუშვას.

ეოველმა ჭკვათა-მეოველმა, აზრიანმა ადამიანმა იცის, რომ ჩვენ არა ვეოფილიეავით, მატლების წინააღმდეგ არაფერი გაეწეობოდა...

ერთხელ დიდხანს ვიკამათე დედაბერთან; მსურდა დამეტკიცებინა, რომ აქ ადამიანები არც ისე ცუდები არიან, როგორც მას ეგონა. მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, მეორე დღესვე დავრწმუნდი, რომ დედაბერი მართალი იეო.

ერთ საღამოს, როდესაც მზე ჩასასვლელად ემზადებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელტებ შუა რადაზედაც დაფიქრებული ვიჯექი. უცებ ბალ-ლისა და ფეხის ტაპუნის ხმები შემოესმა. გამოვეავი თავი და ჩემკენ ცოტა მოშორებით სოფლის ბიჭები დავინახე.

არაფრად ჩავაგდე: არაფერს ვერჩი, და არც ისინი გამცემენ ხმას-მეთქი, მაგრამ მოვტეუვდი. უკან მიხედვა ვერ მოვასწარი, რომ იმ უგჯანო ბავშვებისაგან ნასროლმა უშველებელმა ქვამ თავზე სტვენით გადამირბინა. დროზე რომ არ მომესწრო და წყალში არ ჩავმსტარიყავ, თავს შუაზე გამიჩეხდა.

— დაჭკა, დაჭკა მაგ დაწყევლილებს!—ყვიროდნენ სამაგლები. და რამდენიმე ათეულმა ქვამ წყალში და ბელტებზე ზედი-ზედ ტაპუნ-ტელაშუნი მოიღო. რა ამბავი ხდებოდა მაშინ, ვერ წარმოიდგენ! რამდენი მეგობარ-მოკეთე დამეღუპა იმ უსაქმურებისაგან, მისი წარმოდგენაც-კი საშინელებაა! მერე, ვის რა დაუშავეთ?!, რა უნდოდათ ჩვენგან? განა ჩვენ ისევე არ გვინდა სიცოცხლე, როგორც იმათ? ოჰ, რა სულელნი, გულ-ცივნი არიან ადამიანები!,.

ეჰ, ლაპარაკის გაგრძელებაც-კი აღარა მსურს—რამდენი უბედურება შემთხვევია ჩემ სიცოცხლეში, რამდენი. რამდენი და-ძმა დაღუპულა ჩემ თვალ-წინ. ამ ზაფხულს ძალიან ცოტა მოკეთე-მეგობარმა და აღწია თავი სიკვდილს. ზოგი ბაყაყი-ულაპიებისა და ზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშოების მსხვერპლი შეიქნა, ზოგმა სადილის სუფრა დაუ-
მშვენა გველებს, თევზებს და კიბოებს. ბევრი, ძალიან ბევრი
ადამიანის ხელმა აწყალა...

მე-კი ხან ბედნიერებაში და ხან უბედურებაში გავატარე
ზაფხული და შემოდგომამდინაც მოვაღწიე.

ჰაერი თან-და-თან აცივდა. ირგვლივ ყველაფერს საამწუ-
ხაროდ ეცვალა ფერი: ბალახი გაუვითლდა, ხეებიდან ფოთ-
ლები ჩამოცვივდა. მეც მოწყენილობა შემეპარა, მით უმეტეს,
რომ ველებზედაც და წყალშიც, რაც დრო გადიოდა, უფრო
და უფრო ძნელდებოდა საჭმლის შოვნა. ყველაფერი სადღაც
გაქრა, გაიქცა, დაიღუპა. კიდეც გცვა, კიდეც გშია!.. ამასთა-
ნავე მოხუცებული, გამოცდილი ბაყაყები გვეუბნებოდნენ, რომ
რაღაცა ზამთარი დადგებაო; ჭაობს და მდინარეს ყინული გა-
დაეფარება, მინდორ-ველები თოვლის თეთრი ზეწარით მოი-
ფინებაო... შიშის ზარმა ამიტანა. არ ვიცოდი—რა მოქმა-
ზრებინა, რა მელონა. ვფიქრობდი, ვაი, თუ გაყიყინო სადმე,
მოვკვდე შიმშილისაგან-მეთქი. მაგრამ უფროსებმა გვიშველეს.
გვირჩიეს ჭაობის ძირზე გვეპოვა ერთი წყნარი, განკერძოებუ-
ლი ალაგი, სადაც ბლომად ხავსი და დამპალი ბალახები იქ-
ნებოდა; ამოგვეთხარა იქ რაც შეიძლება ღრმად ორმოები,
ჩაგმარხულიყავით შიგ, დაგვეძინა და მთელი ზამთარი ასე გა-
გვეტარებინა.

ოჰ, რა ძნელი შესასრულებელია!.. მენანება სინათლე, ცა
და თავისუფლება. მაგრამ, რას იზამ? უნდა დაემორჩილო კე-
თილ დარიგებას.

მართლაც, გამოვნახე ჩემთვის მოხერხებული ალაგი და...
დეე, მოხდეს,—რაც მოხდება მეთქი!.. ოჰ, აგერ მესობლები
მეძახიან... მოვდივარ, მოვდივარ!.. ვგრძნობ, რომ სალათას
ძილი მერევა, ჰბოჭავს ჩემ მოძრაობას... მაშ მშვიდობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ... არა სამუდამოდ!.. როდესაც გაზაფხული დე ამბავს დიდიხნის ძილისაგან გამოაღვიძებს, როდესაც ცხრა-თვალა მზის თბილი სხივები დალეწავენ, წელად აქცევენ ეინულის უშველებელ ნატეხებს და ჩემ თავსაფარის წიაღს ჩამოაღწევენ, მაშინ, ყველაფერთან ერთად, რაც-კი ცოცხლობს და სუნთქავს, გავიღვიძებ მეც ახალ ცხოვრებისათვის, ახალ სიხარულისა და მწუხარებისათვის! .

დ. ელიოზიშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,** — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,** — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

14) **ბიძია თომას ქოხი,**—რომანი **ბიჩერ-სტოუსი** ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა . 1 მ. 25 კ

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეათე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: **„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“** (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. — **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ⊿ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვასო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში** —ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატ. ბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** —მ. ი. ჭავჭანიძესთან. **რაჭაში.**—მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი თავ. **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**